



2021 წელს ორგანიზაცია მუშაობდა 3 პროექტზე შემდეგი მიმართულებით:

- ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში (დონორი USDA)
- სოფლის მეურნეობის ექსტენცია (დონორი USDA)
- მობილური ექსტენციის პროექტი (დამკვეთი პროგრამა SQIL)



აღნიშნული პროექტების ფარგლებში მომავლის ფერმერის გუნდის მიერ განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები:


● გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. თარიღი: 30/03/2021, დამსწრეების რაოდენობა: 23. შეხვედრას ასევე ონლაინ რეჟიმში ესწრებოდნენ ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტისა და კალიფორნიის ფრეზნოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

საბჭო შექმნილია ფიტოსანიტარიის პროექტის ფარგლებში, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი მიზანია სექტორის სპეციალისტების გაერთიანება ერთი მაგიდის ირგვლივ, რათა მიღებული იქნას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოში მცენარეთა დაცვის დარგის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით. სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა 2019 წელს მომავლის ფერმერის მიერ, პროექტის გუნდი კოორდინაციას უწევს შეხვედრებს და უზრუნველყოფს საბჭოს წარმატებით მუშაობას.




ჩატარდა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო ჯგუფების 5 შეხვედრა, რომელთაც ჯამში ესწრებოდა 70 მონაწილე.


საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს 4 სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა აქტუალური და მნიშვნელოვანი მიმართულებების გასაძლიერებლად, ესენია: განათლება, მოკლევადიანი ტრენინგები და სასწავლო პროგრამები, რისკის ანალიზი და მავნებელთა ინტეგრირებული მართვა. მომავლის ფერმერის პროექტის გუნდი კოორდინაციას უწევს აღნიშნული ჯგუფების მუშაობას, უზრუნველყოფს წევრებს შორის კომუნიკაციასა და შეხვედრების გამართულობას.



მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში დამატებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი კალიფორნიის ფრენოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ჯგუფის მიზანია ფრენოს უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ მომზადებული მავნებელთა ინტეგრირებული მართვის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამის მოდულების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების, უკუკავშირის გაზიარება. ჯგუფში გაერთიანებულია 12 წარმომადგენელი, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო სექტორის, ასევე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.



ჩატარდა აჭარის მეთევზეობის სექტორის დეტალური კვლევა, გამოიკითხა 26 ფერმერი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მოკვლევა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა თევზის საკვები, დაავადებები და მათი მკურნალობის საშუალებები, ზოგადად ფერმის ეკონომიკური მაჩვენებლები. მოხდა საჭიროებების ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მომზადდება დარგში განსახორციელებელი აქტივობების გეგმა მომდევნო წლებისათვის.



სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში აჭარაში სამიზნე ჯგუფებთან ჩატარდა შეხვედრები და ვორქშოპები. მომავლის ფერმერისა და USDA-ს ადგილობრივი ოფისის წარმომადგენლებმა იმუშავეს რეგიონის საჭიროებების გამოსავლენად შემდეგი მიმართულებით:

- ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობა
- ქალების როლი აგრობიზნესში
-
- ექსტენციის სერვისები რეგიონში
- მეთევზეობის სექტორის ანალიზი
- სუფრის ყურძნის წარმოება აჭარაში

აღნიშნული მოკვლევის შედეგად, აჭარის მთავრობასთან და ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ადგილობრივ და სათავო ოფისის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, შეირჩა 2 პრიორიტეტული მიმართულება: ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობის ხელშეწყობა და მეთევზეობის სექტორის გაძლიერება. მომდევნო წლების განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებებზე მოხდება პროექტის აქტივობების ფოკუსირება.



მობილური ექსტენციის პროექტის ფარგლებში ჩატარდა 48 საველე ტრენინგი სხვადასხვა ფერმის ბაზაზე მესაქონლე (მერძევე და მეხორცე) ფერმერებისათვის. სატრენინგო თემები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ცხოველთა ინფექციური, ინვაზიური და ჰელმინთური დაავადებები, მკურნალობა და პროფილაქტიკა
- ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ძირითადი პრეპარატები, საკვებდანამატები, იმუნოსტიმულატორები და მათი გამოყენების წესი
- ცხოველთა მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი ჯიშები, სელექცია და მათი თავისებურებები
- ცხოველთა კვების მენეჯმენტი და მისი როლი ფერმის მართვაში
- ცხოველთა სტრესის შემცირების თანამედროვე მიდგომები და ცხოველთა კეთილდღეობა
- რძის და ხორცის ნაწარმის ბრენდინგი, მარკეტინგი, გაყიდვები, ბაზარზე პოზიციონირება

ჯამში დატრენინგდა 178 ფერმერი, მომზადდა 6 ვიდეო თითოეულ სატრენინგო თემაზე, რომლებიც ასევე ითარგმნა ინგლისურად და გავრცელდა სოციალური ქსელის საშუალებით, ამჟამად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროექტის ფარგლებში 20 ფერმერს გადაეცა სატრენინგო კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.



პროექტი: „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL)

„შესაძლებლობების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ, საფონდის ხორცისა და რძის პროდუქტების ნაწარმის ბაზრისა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით საერთაშორისო“



მობილური ექსტენციის მიზნობრივი მესაქონლე (მერძევე და მეხორცეული) ფერმერებისათვის

მრეწველობის ჩაბარებულ დარგის დამყვანი ექსპერტები და პროფესიონალები შემდეგ თემაზე:

- ცხოველთა ინფექციური, ინვაზიური და პარაზიტული დაავადებები, მკურნალობა და პროფილაქტიკა
- ვეტერინარიაში გამოყენებული ძირითადი პრეპარატები, საკვებდანამატები, იმუნოსტიმულატორები და მათი გამოყენების წესი
- ცხოველთა მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი ჯიშები, მათი სელექცია და თავისებურებები
- ცხოველთა კვების მენეჯმენტი და მისი როლი ფერმის მართვაში
- ცხოველთა სტრესის შემცირების თანამედროვე მიდგომები და ცხოველთა კეთილდღეობა
- რძის და ხორცის ნაწარმის ბრენდინგი, მარკეტინგი, გაყიდვები, ბაზარზე პოზიციონირება



მომავლის ფერმერის გუნდი მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დარგის სასიკეთოდ გამოყენებისათვის.



www.fof.edu.ge

info@fof.edu.ge